ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N16

8.11.2015

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. მისანიჭებელი კვალიფიკაციების დაზუსტება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამებზე.
2. 2008 წლის კურსდამთავრებულ მაია მაზანიშვილისთვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ბრძანებაში ცვლილების საკითხი
3. მისაღები კონტინგენტის კვოტებისა და საგამოცდო საგნების კოეფიციენტების შესახებ
4. სტუდენტთა სერვისის გაუმჯობესების საკითხები
5. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები:

ნანა სუმბაძე

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, ლუიზა არუთინოვა, თამარ აბაშიძე, იამზე კუტალაძე, მაია მესტვირიშვილი, ლალი სურმანიძე

ასისტენტ პროფესორები: ირინა ჟვანია, ლია ჩხიკვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, თეონა ლოდია, ნინო ლაბარტყავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ირინე გედევანიშვილი

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

ასოცირებული პროფესორი:

იზაბელა პეტრიაშვილი, ეთერ ღვინერია, რუსუდან სანაძე

ასისტენტ პროფესორი:

ზაქარია ქიტიაშვილი

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ფსიქოლოგიის მიმართულება :

ნანუკი ალიბეგაშვილი

გვანცა სალია

თამარ ბუაჩიძე

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 22 წევრი.

განიხილეს:

1. **ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ წარდგინებაში ცვლილების შეტანის საკითხი.**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტის საბჭომ 2015 წლის 25 სექტემბერს განიხილა კურსამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი (საუბარია სტუდენტებზე, რომელთაც გადავადებული ჰქონდათ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა) და მიანიჭა კურსამთავრებულებს შესაბამისი კვალიფიკაცია. თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტმა ფაკულტეტიდან გაგზავნილი წარდგინება დააბრუნა უკან იმ მიზეზით, რომ წარდგინებაში მითითებული კვალიფიკაციები წინააღმდეგობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.
პრობლემას ქმნის შემდეგი კვალიფიკაციები:

- სამაგისტრო პროგრამა „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება“ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებს მიენიჭათ **ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის** აკადემიური ხარისხი. (ასე არის მითითებული აკრედიტებულ სამაგისტრო პროგრამაში) ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში კი მითითებულია **ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი.
- ასევე პრობლემურია განათლების მეცნიერებების მაგისტრი **სწავლების ძირითადი დარგით განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა.** „განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა“ ჩარჩოში არ ფიქსირდება. (პრობლემას ქმნის სწავლების ძირითადი დარგი). ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოში მითითებულია **განათლების მეცნიერებების მაგისტრი.**

მაშასადამე, ფაკულტეტის საბჭომ უნდა შეიტანოს შესწორება 2015 წლის 25 სექტემბრის წარდგინებაში შემდეგი სამაგისტრო პროგრამებისთვის:

1. სამაგისტრო პროგრამაში „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება“ მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად - ფსიქოლოგიის მაგისტრი.
2. სამაგისტრო პროგრამაში „განათლების მეცნიერებები“ მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად - განათლების მეცნიერებების მაგისტრი.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას ხარისხის მინიჭებისას პრიორიტეტი იყოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

2. 2008 წლის კურსდამთავრებულ მაია მაზანაშვილისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ბრძანებაში ცვლილების შეტანის საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი, რომელშიც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ითხოვდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნერებათა ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულ (ბრძანება№1918/01-04, 19.11.2008) მაია მაზანიშვილის დიპლომის დანართს. ფაკულტეტზე მომზადდა აღნიშნული დანართი, თუმცა ამ პერიოდში დანართის ფორმა ორჯერ შეიცვალა.
ახლა კი პრობლემა შეიქმნა იმის გამო, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნერებათა ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ **ბრძანებებში** (2008 წლის ხარისხის მინიჭების ყველა ბრძანებაში) აკადემიურ ხარისხად დაფიქსირებულია **„სოციალურ მეცნიერებათა“** ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ნაცვლად **„სოციალური მეცნიერების“** ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა), რაც წინააღმდეგობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებასთან.

ფაკულტეტის საბჭომ უნდა შეიტანოს შესწორება არასწორად მინიჭებულ ხარისხში (ბრძანება№1918/01-04, 19.11.2008) და მაია მაზანიშვილს ნაცვლად**„სოციალურ მეცნიერებათა“** ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა განესაზღვროს **სოციალური მეცნიერების** ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
ზემოაღნიშნული პირობა ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში გავრცელდეს ასევე 2008 წლის სხვა ბრძანებებში (№2079/01-04 26.12.2008, №2059/01-04, 23.12.2008, №2061/01-04, 22.12.2008, №1925/01-04, 19.11.2008, №1700/01-04, 28.10.2008, №1334/01-04, 30.09.2008, №1333/01-04, 30.09.2008, №1105/01-04, 11.09.2008, №1335/01-04, 30.09.2008, №327/01-04, 06.03.2008, №896/01-04, 30.07.2008) მითითებულ ყველა იმ სტუდენტზე, რომელთაც მინიჭებული აქვთ სოციალურ მეცნერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას. ხარისხის მინიჭებისას პრიორიტეტი იყოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და დაამტკიცა ერთხმად, რომ ნაცვლად**„სოციალურ მეცნიერებათა“** ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა განისაზღვროს **სოციალური მეცნიერების** ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

3.2016-2017 სასწავლო წელს მისაღები კონტინგენტის კვოტებისა და საგამოცდო საგნების კოეფიციენტების განსაზღვრა:

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ საჭირო იყო საბჭოს განესაზღვრა 2016-2017 სასწავლო წელს მისაღები სტუდენტების რაოდენობა და ერთიანი ეროვნული გამოცდების ფაკულტეტის სპეციალობებზე გათვალისწინებული საგამოცდო საგნების კოეფიციენტები. მომხსენებელმა გააცნო დამსწრეთ ამ მიმართებით გასული წლის გამოცდილება. ფსიქოლოგიის მიმართულებაზე ცვლილებები არ დაფიქსირებულა და დარჩა ჩასარიცხ სტუდენტთა იდენტური რაოდენობა. განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რათა დაწყებითის განათლების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა რიცხვი ნაცვლად 25-ისა გაზრდილიყო 50-მდე. აქვე განსაზღვრა ამ რიცხვის ფარგლებში სტუდენტების კვოტები არჩევითი საგნების მიხედვით. საბოლოო ჯამში მისაღები კონტიგენტის კვოტები და საგამოცდო საგნების კოეფიციენტები განისაზღვრა შემდეგნაირად :

<u>ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა:</u>
მისაღები კონტინგენტი -145;
მისაღები გამოცდების საგნების კოეფიციენტები:
ქართული ენა - 3
ზოგადი უნარები -4
უცხოური ენა -3
მათემატიკა -2
ისტორია- 2
ბიოლოგია -2
ლიტერატურა -2.

<u>სტუდენტების კვოტები არჩევითი საგნების მიხედვით:</u>
მათემატიკა -65
ისტორია- 10
ბიოლოგია - 40
ლიტერატურა -30.

<u>დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამა:</u>
მისაღები კონტიგენტი -50.
მისაღები გამოცდების საგნების კოეფიციენტები:
ქართული ენა - 3
ზოგადი უნარები -4
უცხოური ენა -3
მათემატიკა -2
ისტორია- 2
ლიტერატურა -2.

სტუდენტების კვოტები არჩევითი საგნების მიხედვით:
მათემატიკა -10
ისტორია- 5
ბიოლოგია -5
ლიტერატურა -30.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას არსებული ფორმატით და დაამტკიცა ერთხმად :
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4. სტუდენტთა სერვისის გაუმჯობესების საკითხები

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს სთხოვა წამოსულიყვნენ რეალურ, საქმიან დიალოგზე და მოეხსენებინათ საბჭოსთვის, თუ რა საჭიროებებსა და პრობლემებს ხედავდნენ ფაკულტეტის მასშტაბით სასწავლო თუ მომსახურების პროცესში. სტუდენტმა ნანუკი ალიბეგაშვილმა განუცხადა საბჭოს, რომ ისურვებდა გაცილებით მობილური და ფუნქციაგანსაზღვრული ყოფილიყო სასწავლო დეპარტამენტის მუშაობა. აქვე დასძინა, რომ ისურვებდა, გაცილებით რეზონანსული და ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველანაირი სიახლე სასწავლო პროცესთან თუ საუნივერსიტეტო ცხოვრებისთან დაკავშირებული. საბჭოს სტუდენტმა წევრმა დეკანისგან მიიღო პირობა, რომ უახლოეს პერიოდში გადაიდგმებოდა ქმედითი ნაბიჯები ამ საკითხების მოსაგვარებლად. აქვე, თავად პროფესორმა თამარ გაგოშიძემ გამოთქვა სურვილი სტუდენტთა სერვისის გაუმჯობესების მიმართულებით ფაკულტეტის საქმიანობაში სამომავლოდ განსაზღვრულიყო ზოგადი ხედვები სტუდენტთა დასაქმების, კეთილმოწყობის, დაბინავებისა და სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის შესახებ. და სთხოვა დამსწრე აკადემიურ კადრს სამომავლოდ შემოეთავაზებინათ ამ საკითხის რეალური განხორციელების თავიანთი ხედვები. განსაკუთრებული მნიშვნელოვნებით დასვა პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საკითხი არსებული აკადემიური რესურსის გამოყენებით სტუდენტთათვის უფასო ფსიქოლოგიური კონსულტაციის სერვისის შეთავაზების მიმართულებით. როგორც მან აღნიშნა, ცხადია, ამ ტიპის შეთავაზების ფუფუნებას ჩვენი ფაკულტეტის სპეციფიკა განსაზღვრავს, შესაბამისად, ეს პოტენციალი დიდი აუცილებლობით გამოსაყენებელია შემდეგ მუშაობაში.

საბჭომ ერთხმად გაიზიარა მომხსენებლის პათოსი და გადაწყვიტა შემდეგ სხდომაზე ამ მიმართულებით კონკრეტული გზები და აქტივობები დაისახოს. ყოველივე ამის შემდეგ საბჭომ რეკომენდაცია მისცა მის სტუდენტ წევრებს, შეხვედროდენ თვითმმართველობის ფარგლებში სტუდენტებს და შემდეგ საბჭოს სხდომაზე სტუდენტთა კონკრეტული საჭიროებები გამოეტანათ განსახილველად.

ფაკულტეტის საბჭოს წინაშე საბჭოს მდივნის, ზაქარია ქიტიაშვილის ინიცირებით გამოვიდა 2 საკითხი - გაცვლითი პროგრამების კომისიის დაკომპლექტებისა და განათლების

მეცნიერებების მიმართულების საბჭოს წევრ სტუდენტთა ჩანაცვლების შესახებ. საბჭომ ყურადღებით მოისმინა აღნიშნული ინფორმაცია, თუმცა საკითხის არაჯეროვანი მომზადების გამო მიიღო როგორც ცნობა და დაავალა შესაბამის პირებს შემდეგი სხდომისათვის მოემზადებინათ სრულფასოვანი წინადადებები.

აქვე, საბჭოს მდივანმა, ზაქარია ქიტიაშვილმა, დააყენა საკითხი - სემესტრში ერთხელ თვითმმართველობის წარმომადგენელი საბჭოს წევრი სტუდენტები მათ მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ გამოსულიყვნენ საანგარიშო მოხსენებით ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რაც უკეთ დაანახებდა საბჭოს სტუდენტების კონკრეტულ საჭიროებებს და, იმავდროულად, მისცემდა საშუალებას, სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, უფლებამოსილების ფარგლებში გაეწია კონსულტაციები და დახმარება სტუდენტებისათვის.

საბჭომ მოიწონა აღნიშნული ინიციატივა და სთხოვა თვითმმართველობის წარმომადგენლებს შემდეგ სხდომაზე ამ საკითხთან მიმართებით თავიანთი ხედვა წარმოადგინათ.

დაადგინეს:

1. სამაგისტრო პროგრამაში **„ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება“** მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად - **ფსიქოლოგიის მაგისტრი.**
სამაგისტრო პროგრამაში **„განათლების მეცნიერებები“** მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად - **განათლების მეცნიერებების მაგისტრი.**

2. მაია მაზანიშვილს ნაცვლად„სოციალურ მეცნიერებათა“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა განესაზღვროს სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეს ცვლილება გავრცელდეს ასევე 2008 წლის სხვა ბრძანებებში მითითებულ ყველა იმ სტუდენტზე, ვისაც მინიჭებული აქვს სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

3. განისაზღვროს 2016-2017 სასწავლო წელს მისაღები კონტინგენტის კვოტები და საგამოცდო საგნების კოეფიციენტები ოქმში წარმოდგენილი რაოდენობითა და შეწონვით.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი

თამარ გაგოშიძე / /

სხდომის მდივანი: ასისტენტ პროფესორი

ზაქარია ქიტიაშვილი / /

8. 11. 2015